ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №31

აბაშა, 2023 წლის 9 ივნისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის მორიგი №7 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ი" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის მორიგი №7 სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის მორიგი №7 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გ. ხოშტარია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.კუცია

3. „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.გ.კუცია

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მათი შედგენის, ჩაბარების, შედგენაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თ. ნოდია

6.აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია